ნოტარიატის ინსტიტუტის სამართლებრივი რეგლამენტაციის მიმოხილვა

თინათინ დევდარიანი
- სტუ-ს დოქტორანტი
niniko001@mail.ru

რეზიუმე

თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარებისათვის სავალდებულოა სამოქალაქო ბრუნვის ადეკვატურად უზრუნველმყოფი და მისი ხელშემწყობი ინსტიტუტებისა და მექანიზმების ჩამოყალიბება. მოცემულ კატეგორიას განეკუთვნება "ოფიციალური დოკუმენტებიც", ე.ი. დოკუმენტები, რომელთაც კერძო პირის მიერ შედგენილ დოკუმენტებთან შედარებით გააჩნიათ მომეტებული მტკიცებულებითი ძალა. სწორედ ასეთი დოკუმენტაციის წარმოება შეადგენს ნოტარიატის ამოცანას, ნოტარიუსები ახორციელებენ სხვადსხვა მოქმედებებს, რომლებიც საშუალებას აძლევენ მოქალაქეებს და იურიდიულ პირებს მოახდინონ საკუთარი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების რეალიზაცია.

მიუხედავად იმისა, რომ ნოტარიატის განვითარებას გააჩნია საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია და ჩვენს ქვეყანაშიდაც მნიშვნელოვნად დიდ ყურადღებას უთმობენ ნოტარიული საქმიანობის სამართლებრივ რეგულირებას, სამართალგამოყენებად პრაქტიკაში ხშირად წარმოიქმნება სანოტარო მოქმედებების რეგლამენტაციასთან დაკავშირებული სირთულეები. მართალია, ეს პრობლემები ორგანიზაციული ხასიათისაა, მაგრამ ისინი უარყოფითად აისახებიან იმ სანოტარო მოქმედებების განხორციელების პროცედურაზე, რომლებსაც მოჰყვება სამოქალაქო - სამართლებრივი შედეგები. ნოტარიატის ერთიანი ორგანიზაციულ - სამართლებრივი საფუძვლის განმტკიცებისა და სანოტარო მოქმედებების განხორციელების კანონიერების უზრუნველყოფად მომწიფდა ნოტარიატის შესახებ კანონმდებლობის განახლების აუცილებლობა.

საქართველოს კონსტიტუციაში განსაზღვრულია სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების კონცეფცია, რომლის ჩარჩოებში ყალიბდება საზოგადოებრივი ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირების მექანიზმი, რითაც იზრდება მრავალი ტრადიციული ინსტიტუტის სამართლებრივი როლი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში, ასეთ რიცხვს მიეკუთვნება ნოტარიატის ინსტიტუტი, რომელიც სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემის შემადგენელ ნაწილს წარმოდგენს.

სახელმწიფო იღებს გადაწყვეტილებას ქვეყანაში ნოტარიატის მოწყობის არჩევანთან მიმართებით, გვთავაზობს ნოტარიტის ინსტიტუციონალური მოწყობის ორ მოდელს: ნოტარიატის ინსტიტუტს, როგორც სახელმწიფო ორგანოს თუ მას მიაკუთვნებს კერძო პირთა კომპეტანციას (ნოტარიუსის პირადი პასუხისმგებლობის ფარგლებში). საგულისხმოა ის გარემოება, რომ ქართველი კანონმდებელი 1996 წლის 3 მაისის "ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონის მიღებით გაემიჯნა ნოტარიატის მოწყობის სოციალისტურ სისტემას და გაიზიარა "ლათინური ნოტარიატი"-ს მოდელი, რომლის პოზიტიური მხარის წარმოსაჩენად, განვიხილოთ რიგი სახელმწიფოები, რომლებიც "ლათინური ნოტარიატი"-ს სისტემის ნაწილს წარმოადგენენ, 1990 წელს გერმანიის გაერთიანების შედეგად მომხდარი პროცესების შესაბამისად მთელი რიგი მიწების (ბრანდერბურგის, ნეკლემბურგის, საქსონიის, საქსონია–ანჰალტის) ნოტარიატი სახელმწიფოს დაქვემდებარებიდან გადავიდა კერძო დამოუკიდებელი პირების ხელში. "ნოტარიატის შესახებ" ფედერალური დებულების (მე-3 §, 1 აბზაცი) შესაბამისად გერმანიაში დამოუკიდებელი ნოტარიუსი ასრულებს თავის საქმიანობას ძირითადი პროფესიის ფარგლებში (ე.ი.) ის დაკავებულია მხოლოდ სანოტარო საქმიანობით.ზოგიერთ ფედერალურ მიწაზე, მათ შორის ყოფილი პრუსიის ტერიტორიაზე ნო-

ტარიუსს პარალელურად გააჩნია საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილება. ლათინური ნოტარიატის კავშირის სხვა ქვეყნებში, ნოტარიუსი თავის საქმიანობას ახორციელებს მხოლოდ ძირითადი პროფესიის ფარგლებში (გამონაკლის წარმოადგენს შვეიცარიის რამდენიმე კანტონი), ლათინური ნოტარიატში შემავალ ქვეყნებში განსხვავებულია ნოტარიუსის თანამდებობაზე დანიშვნის წესი. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ნოტარიუსის თანამდებობაზე დანიშვნისათვის წაყენებული მოთხოვნები, პროფესიული განათლებასთან მიმართებით უთანაბრდება მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნისათვის დადგენილ კრიტერიუმებს. გარდა ამისა თანამდებობაზე დანიშვნამდე, არსებობს ნოტარიუსის კანდიდატის თანამდებობა. მაგალითად, გერმანიაში ნოტარიუსად დასანიშნ პირს მოეთხოვება ნოტარიუსის კანდიდატად მუშაობის სამწლიანი გამოცდილება. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ნოტარიუსობის კანდიდატის ნაცვლად შემოტანილია სტაჟირების ინსტიტუტი. სტაჟირება ნიშნავს საქართველოს ნოტარიუსთა პალატასთან არსებულ სასწავლო ცენტრში საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიერ დადგენილი პროგრამით სწავლებას. სტაჟირება შედგება ორი ეტაპისაგან და მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილს. სტაჟირების ორივე ეტაპის გასავლელად საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის გადასახდელი საფასური განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. სტაჟირების გავლის წესს ნოტარიუსთა პალატის წარდგინებით ამტკიცებს იუსტიციის მინისტრი. სტაჟირების შეწყვეტა შესაძლებელია პირადი განცხადებით ან სტაჟიორის მიერ მისთვის დაკისრებული მოვალეობების სისტემატური შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების საფუძველზე.

ქართული კანონმდებლობით, ნოტარიუსს უფლება არ აქვს, სანოტარო საქმიანობის განხორციელებასთან ერთად ეკავოს სხვა თანამდებობა, ან ასრულებდეს სხვა ანაზღაურებად სამუშაოს გარდა პედაგოგიური, სამეცნიერო, შემოქმედებითი საქმიანობისა. ნოტარიუსს და მისი სანოტარო ბიუროს თანამშრომლებს ეკრძალებათ იყვნენ მხარეთა შუამავლები გარიგების დადებისას. აგრეთვე დაუშვებელია, ნოტარიუსის მიერ არასათანადო რეკლამის განთავსება ან გავრცელება, ასევე ნოტარიუსის პროფესიული თვისებების რეკლამირება.

სახელმწიფო აკონტროლებს ნოტარიუსის მიერ კანონით დადგენილი მოვალეობებისა და აკრძალვების შესრულების ხარისხს, ნოტარიუსის საქმიანობაზე სახელმწიფოებრივი ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილება მინიჭებული აქვს იუსტიციის მინისტრს. რიგ ქვეყნებში, მაგალითად გერმანიაში ნოტარიუსების სამსახურებრივ საქმიანობაზე კონტროლი, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იუსტიციის მინისტრის მოთხოვნის საფუძველზე ხორციელდება მიწის სასამართლოს მიერ. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონით, ნოტარიუსის თანამდებობა შეიძლება დაიკავოს საქართველოს ქმედუნარიანმა მოქალაქემ, რომელსაც აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება, გავლილი აქვს სტაჟირება ან აქვს ნოტარიუსად მუშაობის არანაკლებ ერთი წლის სტაჟი ან საჯარო სამსახურში სპეციალობით მუშაობის არანაკლებ ხუთი წლის სტაჟი და ჩაბარებული აქვს ნოტარიუსთა საკვალიფიკაციო გამოცდა. პირი თავისუფლდება ნოტარიუსის საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების ვალდებულებისგან, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი სამოქალაქო, საერთაშორისო კერძო სამართლის ან სამოქალაქო საპროცესო სამართლის სპეციალობაში.”

“ნოტარიატის შესახებ” საქართველოს კანონში რეგლამენტირებულია ნოტარიუსისათვის სანოტარო საქმიანობის უფლების შეჩერების და თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძვლები, ნოტარიუსი თანამდებობიდან თავისუფლდება: იუსტიციის მინისტრის სახელზე გაკეთებული პირადი განცხადებით, ნოტარიუსის გარდაცვალების, სასამართლოს მიერ მისი უგზოუკვლოდ დაკარგულად აღიარების, გარდაცვლილად გამოცხადების ან შეზღუდულ ქმედუნარიანად/ქმედუუნაროდ აღიარებისას, ნოტარიუსთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით, სადაც სახდელის სახით გათვალისწინებულია ნოტარიუსის თანამდებობიდან გათავისუფლება, ნოტარიუსის ჯანმრთელობის გამო, რაც გამორიცხავს მის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის ჯეროვნად შესრულებას, ნოტარიუსის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენის ფაქტზე სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა ან განზრახი დანაშაულის ჩადენის ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა ხანდაზმულობის ან ამნისტიის გამო, ნოტარიუსისათვის საქართველოს მოქალაქეობის შეწყვეტა, ნოტარიუსისათვის სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით სანოტარო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, ნოტარიუსის მიერ თანამდებობასთან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელება, ნოტარიუსის მიერ

კანონით დადგენილ ვადაში საქართველოს იუსტიციის მინისტრისადმი არ იქნება წარდგენილი სათანადო დოკუმენტი „სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციით" დადგენილ მოთხოვნათა შესაბამისად აღჭურვილი სანოტარო ბიუროს მფლობელობის/საკუთრების თაობაზე, რაც შეეხება სანოტარო საქმიანობის უფლების შეჩერების საფუძვლებს ისინი კანონმდებლობაში შემდეგნაირად არის რეგლამენტირებული: ნოტარიუსი მიერ კანონით დადგენილ ვადაში იუსტიციის მინისტრისადმი, საკუთარი სამსახურებრივი ბეჭდისა და ხელმოწერის ნიმუშისა და სავალდებულო პროფესიული დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტის წარუდგენლობა, ნოტარიუსთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულებით, სადაც სახდელის სახით გათვალისწინებულია გარკვეული ვადით სანოტარო საქმინობის უფლების შეჩერება,მისი ბრალდებულად სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შემთხვევაში – მოცემულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე.

ნოტარიუსი საქმინობაზე ზედამხედველობის განხორციელება თავსდება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების წანამძღვრებში,რაც თავის გამოხატულებას პოულობს თანაზომიერებისა და გადაუჭარბებლობის პრინციპში.

ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ნოტარიუსის საქმიანობა სრული მოცულობით არ ექვემდებარება კონტროლს. სრული კონტროლის პირობებში ხელი შეეშლებოდა ნოტარიუსის მხრიდან მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მიღების პროცესს. ნოტარიუსი გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლის მსგავსად დამოუკიდებელი და მიუკერძოებელია, ნოტარიუსის საქმიანობის კონტროლი შეზღუდულია და იფარგლება მის მიერ კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების მოთხოვნათა განუხრელად დაცვით. ამ შემთხვევაში კონტროლს ძირითადად გააჩნია პრევენციული ხასიათი. პრევენცია მიზნად ისახავს ნოტარიუსის მხრიდან კანონით დაკისრებული ვალდებულებების დაცვისა და მის საქმიანობაში დასახული ამოცანების გადაჭრის ჰარმონიზაციას.

სახელმწიფო, ნოტარიუსზე თავისი უფლებების დელეგირებისას, სანაცვლოდ იტოვებს ზედამხედველობის განხორციელების ბერკეტებს, კერძოდ:

სახელმწიფო ამავდროულად ადგენს ნოტარიუსთა ზღვრულ ოდენობას. ეს რაოდენობა თავის მხრივ შეზღუდულია და იმართება ობიექტური აუცილებლობით. ნოტარიატის სფეროში პოლიტიკის განმსაზღვრელი ორგანო (იუსტიციის მინისტრი), ზრუნავს, ერთი მხრივ, იმაზე, რომ მოქალაქისათვის სანოტარო მომსახურეობის მიღება იყოს მოქნილი და ხელმისაწვდომი (სანოტარო ბიურო თავისი მდებარეობით იყოს ადვილად ხელმისაწვდომი), და მეორე მხრივ არ შეიქმნას რეალურ საჭიროებაზე მეტი ადგილი, რათა ნოტარიუსმა შეძლოს არსებობისათვის საჭირო სახსრების მოზიდვა და ფინანსური დამოუკიდებლობის შენარჩუნება, რითაც თავის მხრივ ხელი შეეშლება ე.წ. ჯუჯა ნოტარიუსების მომრავლებას, რომლებიც მწირი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის და მცირე ბრუნვის არსებობის პირობებში ვერ ახერხებენ პროფესიული გამოცდილების შეძენასა და მის სრულყოფას. გარდა ამისა, სახელმწიფო განსაზღვრავს ნოტარიუსის სამუშაო პირობების მინიმალურ სტანდარტებსა და კრიტერიუმებს. „ნოტარიატის შესახებ„ საქართველოს კანონით, ნოტარიუსს უნდა ჰქონდეს სანოტარო ბიურო, რომელიც მისი სამუშაო ადგილია. სანოტარო ბიუროს ადგილმდებარეობას ირჩევს ნოტარიუსი. მას უფლება აქვს სამუშაოზე აიყვანოს და გაათავისუფლოს პირები საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად. ორ ან ორზე მეტ ნოტარიუსს შეიძლება ჰქონდეს საერთო სანოტარო ბიურო. ნოტარიუსის უფლებები და მოვალეობები საერთო სანოტარო ბიუროს მიმართ განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით. საერთო სანოტარო ბიუროში, თითოეული ნოტარიუსი სანოტარო მოქმედებას ასრულებს საკუთარი სახელით და პირადად აგებს პასუხს თავისი სამსახურებრივი საქმიანობისათვის. შესაძლებელია საერთო სანოტარო ბიუროს შექმნა „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრული სამეწარმეო იურიდიული პირის ფორმით, გარდა სააქციო საზოგადოებისა. სამეწარმეო იურიდიული პირის პარტნიორი ნოტარიუსი სანოტარო მოქმედებას ასრულებს საკუთარი სახელით და ამ იურიდიულ პირთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს სანოტარო მოქმედების შედეგად დამდგარი ზიანისათვის. ნოტარიუსი არ შეიძლება იყოს ზემოდასახელებულ სამეწარმეო იურიდიულ პირში შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე დანიშნული პირი. ნოტარიუსს უფლება აქვს სანოტარო საქმიანობის ორგანიზების მიზნით იუსტიციის სამინისტროს თანხმობით შექმნას საერთო ბიურო ადვოკატთან, კერძო აღმასრულებელთან, თარჯიმანთან ან / და აუდიტორთან ერთად. ნოტარიუსისა და საერთო ბიუროს სხვა მონაწილეთა უფლებები და მოვალეობები საერთო ბიუროს მიმართ, აგრეთვე შემოსავლების განაწ-

ილების წესი, განისაზღვრება მათ შორის დადებული ხელშეკრულებით. ზემოხსნებულ ბიუროს ფუნქციონირებისთვის თანხმობის მისაღებად, ნოტარიუსმა და საერთო ბიუროს სხვა მონაწილეებმა იუსტიციის სამინისტროს უნდა წარუდგინონ მომსახურების გაუმჯობესების გეგმა, რომლის შეფასების ძირითად კრიტერიუმს განსაზღვრავს იუსტიციის მინისტრი.

ქართველმა კანონმდებელმა ბოლო პერიოდში უარყო ნოტარიუსისათვის სამუშაო უბნის განსაზღვრის მოთხოვნა, რაც ურყოფითად აისახა ნოტარიუსთა საქმიანობის განხორციელებაზე და სანოტარო მომსახურების გარეშე დატოვა მოსახლეობის გარკვეული ნაწილი (მაღალმთიანი რეგიონიდან ნოტარიუსთა მასობრივი მიგრაცია დედაქალაქში), ლათინური ნოტარიატის კავშირის წევრ ქვეყნებში, ანდერძების დამოწმებისა და მემკვიდრეობის უფლების მოწმობების გაცემის სამართლებრივი თავისებურების გათვალისწინებით (მათ შორის სამკვიდროში შემავალი ქონების დაცვის მიზნით), (იშვიათი გამონაკლისების გარდა, მაგალითად რუსეთში ლიცენზირებული ნოტარიუსი არ ამოწმებს ანდერძს და არ გასცემს სამკვიდრო მოწმობას, ამ სანოტარო მოქმედებათა შესრულების უფლებამოსილება სახელმწიფო ნოტარიუსის კომპეტენციაა), ამ სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ნოტარიუსს განსაზღვრული აქვს მოღვაწეობის არეალი (უბანი). მაგალითად, გერმანიაში ნოტარიუსის სამუშაო უბანი ემთხვევა მიწის უმაღლესი სასამართლოს იურისდიქციის ფარგლებს. ნოტარიუსმა აღნიშნული პრინციპი შეიძლება დაარღვიოს უკიდურესი აუცილებლობის ან ზედამხვედველობის განმახორციელებელი ორგანოს ნებართვით.

სახელმწიფო ასევე განსაზღვრავს სანოტარო მომსახურების ტარიფთა ოდენობასაც. მოცემული ტარიფით მიღებული ანაზღაურება უნდა იძლეოდეს ნოტარიუსისათვის ფინანსური დამოუკიდებლობის ქონის, სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვისა და საჭირო პერსონალის დასაქმების შესაძლებლობას. მოსამართლის მსგავსად ნოტარიუსი დამოუკიდებელია. იგი ვალდებულია იყოს ასეთი, რათა მოიპოვოს ის ნდობა, რის გარეშეც ვერ შეძლებს თავის დანიშნულების განხორციელებას. ნოტარიუსი დამოუკიდებელია სახელმწიფოსგანაც. ზოგადი კონტროლის მიუხედავად იგი არ ექვემდებარება ზედამხედველობის განმახორციელებლი ორგანოების მითითებებს. მისი დამოუკიდებლობის ხარისხი იმითაც არის აღმატებული, რომ მისი თანამდებობიდან განთავისუფლება წარმოებს მხოლოდ კანონით მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევაში და უმთავრეს შემთხვევაში განპირობებულია კანონმდებლობისა და უფლებამოსილებების უხეში დარღვევით. კონტროლი ხორციელდება ნოტარიუსის დამოუკიდებლობის ხარისხის შეულახავად და აღნიშნულის რეგულაცია ხორციელდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში არსებული ვითარების გათვალისწინებით. ზემოთაღნიშნულიდან დგინდება რომ, ნოტარიუსის მოქმედება თავის თანამდებობრივ უფლებამოსილებასთან შესაბამისობის კუთხით არ კონტროლდება, მაშინ როცა თვით ნოტარიუსისა და მის ბიუროს მუშაკთა მიერ შესრულებული სანოტაროს საქმის წარმოების კანონთან და სხვა ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობის საკითხი სამსახურებრივი ზედამხედველობის ობიექტია. დამოუკიდებლობის ამგვარი ხარისხის არქონის პირობებში, ნოტარიუსს არ მიეცემოდა შესაძლებლობა აღესრულებინა პრევენციული მართლმსაჯულების ფუნქცია, უზრუნველეყო გარიგებათა სტაბილურობა და სწორედ დადასტურებული სანოტარო აქტის და მასთან დაკავშირებით გაწეული კონსულტაციის მეშვეობით დასაბამშივე მოესპო ნებისმიერი უთანხმოების ჩანასახი.. პროფესიული დამოუკიდებლობის ცნების მოცულობის ქვეშ იგულისხმება ისეთი რანგის დამოუკიდებლობა, რომელიც თან უნდა სდევდეს ნოტარიუსს თავისი პროფესიული მოვალეობის შესრულებისას, ზოგადად ეს ის დამოუკიდებლობაა, რომელსაც იგი ინარჩუნებს სახელმწიფოსთან, კლიენტებთან და საზოგადოებასთან მიმართებით. განვიხილოთ ნოტარიატის ინსტიტუტის სამართლებრივი რეგლამენტაციის ცალკეული სახეები:

იურისპრუდენციაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სანოტარო წესით დამოწმებულ (დადასტურებულ) აქტებს. დღეისათვის კანონმდებლობის პირდაპირი მოთხოვნაა გარკვეული იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტის სანოტარო წესით დადასტურება, რაც ამ დოკუმენტის ძალაში შესვლის წინაპირობას წარმოადგენს. სანოტარო მოქმედებათა განხორციელების არეალი მოიცავს არაერთ სანოტარო მოქმედებას, რომელიც შეიძლება განვიხილოთ როგორც, ნოტარიუსის ფუნქციის გახორციელება, კერძოდ: კანონით დადგენილ შემთხვევებში ან მხარეთა შეთანხმებით, გარიგებათა დადასტურება, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემა, მემკვიდრეობის უფლების მოწმობის გასცემა, მეუღლეთა საერთო ქონებაში წილზე საკუთრების უფლების მოწმობის გაცემა, სამემკვიდრო ქონების დასაცავად ზომების მიღება, დოკუმენ-

ტის ასლისა და ამონაწერის სისწორის დედანთან დამოწმება, დოკუმენტზე ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება, დოკუმენტის ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმნის სისწორის დამოწმება, მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტის დადასტურება, მოქალაქის განსაზღვრულ ადგილას ყოფნის ფაქტის დადასტურება, მოქალაქის ფოტოსურათზე გამოსახულ პირთან იგივეობის დადასტურება, დოკუმენტის წარდგენის დროის დადასტურება, პირის განცხადების და ცნობის სხვა პირისათვის გადაცემა, ფულის, ფასიანი ქაღალდების და ფასეულობების დეპოზიტში მიღება, სააღსრულებო ფურცელის გაცემა, თამასუქის პროტესტის შესრულება, გასანაღდებლად ჩეკის წარდგენა და ჩეკის გაუნაღდებლობის დადასტურება, დოკუმენტების შესანახად მიღება და საზღვაო პროტესტის შესრულება. არსებობს საკანონმდებლო დათქმა, რომლის მიხედვითაც სანოტარო მოქმედებები, ნოტარიუსის გარდა შეიძლება შეასრულონ საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების და საკონსულო დაწესებულებების სათანადოდ უფლებამოსილმა თანამდებობის პირებმა, რომლებიც ხელმძღვანელობენ საკონსულო დაწესებულებებს და დიპლომატიურ წარმომადგენლობებს და მათ მიერ სანოტარო საქმიანობის განხორციელება მომწესრიგებელია შეაბამისი სამართლებრივი აქტებით და რაგლამენტირებულია კანონმდებლობით. მათ მიერ განხორციელებულ სანოტარო აქტს ძალმოსილება ენიჭებათ მხოლოდ ერთიან ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის შემთხვევაში.

ცალკეული სანოტარო მოქმედებათა შესრულების უფლებამოსილება იმ დასახლებებში სადაც არ მდებარეობს სანოტარო ბიურო გააჩნიათ, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელებს-თვითმმართველობის რწმუნებულებს. "ადგილობრივი თვითმართველობის შესახებ„ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული თვითმმართველი ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელი-თვითმმართველი ერთეულის რწმუნებული ასრულებს შემდეგ სანოტარო მოქმედებებს: ადასტურებს ანდერძს, იღებს ზომებს სამემკვიდრეო ქონების დასაცავად, ამოწმებს დოკუმენტის ასლისა და ამონაწერის სისწორეს დედანთან, გადასცემს პირის განცხადებას და ცნობას სხვა პირს, ადასტურებს მოქალაქის ცოცხლად ყოფნის ფაქტს, ადასტურებს მოქალაქის განსაზღვრულ ადგილზე ყოფნის ფაქტს, შესანახად იღებს დოკუმენტებს, ადასტურებს მოქალაქის იგივეობას ფოტოსურატზე გამოსახულ პირთან, ამოწმებს დოკუმენტზე ხელმოწერის სინამდვილეს. ჩამოთვლილ ფუნქციათა გარდა თვითმმართველი ტერიტორიული ორგანოს ხელმძღვანელს. თვითმმართველი ერთეულის რწმუნებულს შეიძლება დაეკისროს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სხვა სანოტარო მოქმედებათა შესრულება".

სანოტარო მოქმედებათა შესრულების უფლებამოსილება, რომელიც მოიცავს ანდერძისა და რწმუნებულებათა დადასტურებას მინიჭებული აქვთ: საავადმყოფოს, სხვა სტაციონალურ სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულებების და ინვალიდთა სახლების და სანატორიუმების მთავარ ექიმებს, სამედიცინო ნაწილში მის მოადგილეებს ან მორიგე ექიმებს, მოხუცებულთა და ინვალიდთა სახლების დირექტორებსა და მთავარ ექიმებს, ჰოსპიტლის, სანატორიუმისა და სხვა სამხედრო-სამკურნალო დაწესებულებების უფროსებს, სამედიცინო ნაწილში მათ მოადგილეებს, უფროს ან მორიგე ექიმებს. ანდერძის დადასტურების უფლებამოსილება გააჩნია აგრეთვე საქართველოს ალმით მცურავი გემის კაპიტნებს ან საჰაერო ხომალდის მეთაურებს, საძიებო სადაზერვო და სხვა მათი მსგავსი ექსპედიციების უფროსებს. რწმუნებულებათა და ანდერძების დამოწმების კომპეტენცია აქვთ ჯარის ნაწილის, შენაერთის და სამხედრო სასწავლებლის მეთაურს, პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის ადგილის დაწესებულების დირექტორს.

ზემოაღნიშნული პირები, სანოტარო საქმიანობის განხორციელების პროცესში ხელმძღვანელობენ: საქართველოს კონსტიტუციით, "ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტები. უნდა აღინიშნოს, რომ თავად სანოტარო ურთიერთობების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების ე.წ. სანოტარო სამართლებრივი აქტების იურიდიული ბუნება და მათი ადგილი სამართლის ნორმათა არეალში შეუსწავლელი და გამოუკვლეველია, ზოგადად ისინი ფოკუსირდება საზოგადაოებრივი ურთიერთობების წარმოშობის, შეცვლისა და შეწყვეტის, რეალურ ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებზე, საერთოდ კი სანოტარო ე.წ. სამართლებრივ აქტები უნდა გავიაზროთ, როგორც იურიდიული ფაქტების ძირითადი განმსაზღვრელი ნაირსახეობა, რომელიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც ძალიან რთულ და მრავალმხრივ საზოგადოებრივ ურთიერთობებათა კლასიფიკაციის ობიექტი. ეჭვგარეშეა, რომ თავისი საჯარო-სა-

მართლებრივი ხასიათით სანოტარო უფლებამოსილების განხორციელება, ემსგავსება საჯარო სამართლის იურიდიულ პირის მიერ განხორციელებულ უფლებამოსილებას, მაგრამ გააჩნია გარკვეული განმასხვავებელი თავისებურებანი, მაგალითისათვის, არსებობენ დასაქმებული მსახიობები, რომელთაც აქვთ სანოტარო წესით დამოწმებული (დადასტურებული) შრომითი კონტრაქტი. სამოქალაქო უფლებების დარღვევის შემთხვევაში, მათი აღდგენის მიზნით დაინტერესებულ პირებს გააჩნიათ სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილება. სამოქალაქო იურისდიქციის განხორციელებისას, მტკიცებულებათა შეფასებისა და ანალიზის დროს სანოტარო წესით დადასტურებულ (დამოწმებული) შრომით კონტრაქტს, ექნება მტკიცებულებისა და უტყუარობის ძალა. აღნიშნულიდან გამომდინარე ამ მიმართებით სანოტარო იურისდიქცია, გვევლინება ადამიანის უფლებათა დაცვის გარანტად. ლათინური ნოტარიატის კავშირში შემავალი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების მსგავსად, საქართველოშიც ნოტარიუსის, როგორც საზოგადოებრივი ინტერესების მიუკერძოებელი აღმასრულებლის ფუნქციონირების უმთავრესი მიზანია, იურიდიული ფაქტების დამოწმება და გამაფრთხილებელი- პრევენციული იუსტიციის განხორციელება.

თანამედროვე სამართლებრივი სახელმწიფოს განვითარებისათვის სავალდებულოა სამოქალაქო ბრუნვის ადეკვატურად უზრუნველმყოფი და მისი ხელშემწყობი ინსტიტუტებისა და მექანიზმების ჩამოყალიბება. მოცემულ კატეგორიას განეკუთვნება "ოფიციალური დოკუმენტებიც", ე.ი. დოკუმენტები, რომელთაც კერძო პირის მიერ შედგენილ დოკუმენტებთან შედარებით გააჩნიათ მომეტებული მტკიცებულებითი ძალა. სწორედ ასეთი დოკუმენტაციის წარმოება შეადგენს ნოტარიატის ამოცანას.

ნოტარიუსი, თავისი საქმიანობის განხორციელებისას ადასტურებს, როგორც მის წინაშე დაფიქსირებულ ფაქტებს (მაგალითად: მხარეთა მოთხოვნით სააქციო საზოგადოების კრებაზე დამსწრე ნოტარიუსი ადგენს შესაბამის კრების ოქმს - მოვლენას აქვს ფაქტობრივი გამოხატულება), ისე მხარეთა განცხადებების საფუძველზე წარმოშობილ გარიგებებს (მაგალითად, ნასყიდობის, ჩუქების, იჯარის და ა.შ.).

ნოტარიუსი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში პრევენციული იუსტიციის განხორციელების მიზნით გასცემს მოწმობებს, აღნიშნულის განხორციელებისას ნოტარიუსი ეყრდნობა საჯარო და სამეწარმეო რეესტრის მონაცემებს.

პრევენციული იუსტიციის განხორციელებისას ნოტარიუსი ადასტურებს საზღვაო პროტესტს, შესანახად იღებს ფულს, ფასიან ქაღალდებს, დოკუმენტაციას და საჭიროების შემთხვევაში გადასცემს მათ სხვა პირებს, გასცემს სააღსრულებო ფურცელს, სამკვიდრო ქონების დაცვის მიზნით აღწერს სამკვიდრო ქონებას. საქართველოს კანონმდებელმა გარიგებათა დამოწმების მიმართ ლოიარული მიდგომა დაამკვიდრა და გარიგებებზე სავალდებულო სანოტარო ფორმის მოთხოვნის გაუქმებით შექმნა გარიგების დამოწმების ალტერნატიული მექამიზმი–საჯარო რეესტრის სახით. იმ შემთხვევებში, როდესაც გარიგების მონაწილე მხარეები არჩევანს აკეთებენ ნოტარიუსის სასარგებლოდ, ნოტარიუსი თავისთავზე იღებს არამარტო მხარეთა ნების გამოვლენის საკანონმდებლო რეალობასთან შესაბამისობაში მოყვანას, არამედ თავისი ცოდნისა და გამოცდილების საფუძველზე საკუთრების დამდგენი დოკუმენტაციის შესწავლით ათავისუფლებს მხარეებს ზედმეტი მოვალეობისაგან და მინიმუმამდე დაჰყავს, მოცემული ურთიერთობის საფუძველზეს წარმოშობილი დავის ალბათობის შესაძლებლობა. ნოტარიუსს ასევე გააჩნია უფლებამოსილება მის მიერ შესრულებული გარიგების საჯარო რეესტრში წარდგენისა და რეგისტრატორის ფუნქციის შეთავსების შემთხვევაში მისი რეგისტრაციისა, რაც გარიგების მხარეთათვის მეტად კომფორტულია.

ნოტარიუსის ამოცანას წარმოადგენს არამარტო ფორმალურად მოქმედი, მომეტებული მტკიცებულების შემცველი დოკუმენტის შექმნა, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი ასპექტით დადებული რეალური გარიგების დადასტურება. უკანასკნელი ოცდაათწლეულის განმავლობაში, ნოტარიატის მოღვაწეობის ძირეულმა ასპექტმა თვალხილულად გადაინაცვლა უბრალოდ სანოტარო დამოწმებიდან, სამართალურთიერთობის შეცვლისა და გარიგებაში მონაწილე მხარეთა უფლებათა დაცვისაკენ.

ნოტარიუსის მიერ გარიგების შინაარსობრივი დამოწმებისას ნოტარიუსი არ იფარგლება გარიგებისათვის მხოლოდ დადგენილი ფორმის მინიჭების უფლებამოსილებით და სამომავლოდ, სამოქალაქო ბრუნვაში მხარეთა მიერ გაცხადებული ნების საგარანტიო უზრუნველყოფით. მას ასევე ეკისრება გარიგების მონაწილეთა შესაძლო რისკებისაგან დაცვის უფლებამოსილებაც, ამისათვის კი ნოტარიუსმა დეტალურად უნდა შეისწავლოს მხარეთა ნება,

გამოარკვიოს საქმის ვითარება, გაათვითცნობიეროს მხარეები გარიგების დადების სამართლებრივი შედეგების ირგვლივ და ნათელი და არაორაზროვანი ენით შეადგინოს სანოტარო აქტი. ამასთან ერთად ნოტარიუსმა ყურადღება უნდა მიაქციოს იმასაც, რომ გარიგებაში მონაწილეებს არ მიადგეთ გაუთვალისწინებელი ზიანი. სახელმწიფოს მხრიდან ნოტარიუსისათვის პრევენციული იუსტიციის ფუნქციის დელეგირება ნაკარნახევია მოქალაქეებზე და იურიდიულ პირებზე ზრუნვით, შესაბამისად ნოტარიუსი ასრულებს სახელწიფოებრივ უფლებამოსილებას მისთვის დელეგირებულ ნაწილში. სწორედ ამითაა ნაკარნახევი ნოტარიუსის თანამდებობის დაკავების მიმართ სახელმწიფოს მიერ დადგენილი კრიტერიუმები და მის საქმიანობაზე ზედამხვედველობის განხორციელების მექანიზმები. კერძოდ:

ნოტარიუსი თავისი ფუნქციონირებით საზოგადოებრივ-სოციალური დანიშნულების მისიას ასრულებს, ე.ი. იგი ახორციელებს პრევენტული მართლმსაჯულების მისიას. ადვოკატისაგან განსხვავებით, ევლინება რა გარიგების მხარეებს დამოუკიდებელ კონსულტანტად, უზრუნველყოფს მათ შორის არსებული ურთიერთობების რეგულირებას. ნოტარიუსს არ ევალება სახელმწიფოს ინტერესებზე, უფრო სწორად მის ფისკალურ ინტერესებზე ზრუნვა, ნოტარიუსის დამოუკიდებლობის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ნოტარიუსი არ უნდა იყოს ისეთი ფუნქციებით დაკავებული (დაბეგვრის, ან საგადასახადო კონტროლის),რომელიც მოქალაქეს შეუქმნის შთაბეჭდილებას, რომ ნოტარიუსი სახელმწიფო მოხელეა. მოქალაქის ნდობის ფაქტორი უდაოდ გაიზრდება იმ შემთხვევაში, როდესაც აშკარა გახდება ნოტარიუსის დამოუკიდებლობა სახელმწიფოსაგან. ნოტარიუსის უმთავრესი ფუნქციაა იყოს, კანონის სიტყვასიტყვითი შემსრულებელი, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეასრულებს ნოტარიუსი თავისი დანიშნულებას და მოიპოვებს ნდობის მაღალ ვოტუმს. ნდობის მისია გულიხმობს არა მხოლოდ კლიენტის ნდობას ნოტარიუსისადმი, არამედ თვით სახელმწიფოს ნდობასაც. სახელმწიფოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილებების მიუხედავად ნოტარიუსი არ უნდა გადაიქცეს სახელმწიფოს მორჩილ მოხელედ. ეს მისდამი ნდობის დაკარგვის საფუძველია. ნებისმიერ ვითარებაში ნოტარიუსს უნდა გააჩნდეს კანონისმიერი ვალდებულება დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა, რათა იგი ყოველთვის წარმოადგენდეს "rish ter im vorfeld" და შეგნებულად გამოიყენოს, განმარტოს და გააკონტროლოს კანონის შესრულების პროცედურა, რაც მას კანონის ძირითადი დებულებების ფარგლებში, მაღალ თავისუფლების ხარისხს მიანიჭებს. აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებას არ უნდა გააჩნდეს უფლებამოსილება ქმედითად ჩაერიონ ნოტარიუსის პროფესიულ საქმიანობაში.

ნოტარიუსის მიუკერძოებლობა წარმოადგენს ნოტარიატის ინსტიტუტის ერთ-ერთ სპეციფიკურ და ძირითად დამახასიათებელ თვისებას. ნოტარიუსი ვალდებულია მკაცრად დაიცვას აღნიშნული პრინციპი თავის პრაქტიკულ საქმიანობაში. ნოტარიუსი ასევე მიუკერძოებელია მასთან გამოცხადებულ მხარეებთან მიმართებით. ეს კი იმას ნიშნავს რომ, მიუხედევად იმისა, რომ იგი მოქმედებს მხარეთა ნების განსახორციელებლად და ამ უკანასკნელთა მიერ მოთხოვნილი მოცულობის შესაბამისად არ წარმოადგენს არცერთ მხარეს და მათ მიერ გაკეთებული კონკრეტული მითითებების მიუხედავად, იღებს დაყენებული შუამდგომლობის მიმართ პროფესიონალურ გადაწყვეტილებას. თუ ნოტარიუსი თვლის, რომ მისთვის საქმის გარემოებები ბუნდოვანია და ის ჯერ კიდევ ვერ ჩაწვდა გარიგების არსს, უფლებამოსილია მხარეთაგან მოითხოვოს ამ გარემოებათა შემავსებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა. ნოტარიუსი არ არის ვალდებული მოითხოვოს სანოტარო აქტის დამოწმება მარტო იმ საფუძვლით რომ მხარეები მიიჩნევენ წარმოდგენილ ფაქტებს საკმარისად. მიუკერძოებლობის ვალდებულება პრაქტიკულ საქმიანობაში ნოტარიუსს უყენებს ქცევის სრულიად კონკრეტულ მოთხოვნებს. ნოტარიუსი მუდმივად უნდა აკონტროლებდეს იმ გარემოებას, რომ არცერთმა მხარემ არ ისარგებლოს გარკვეული უპირატესობებით, ამასთან სანოტარო აქტის დამოწმების პროცედურა განახორციელოს მხარეთათვის სათანადო ახსნა-განმარტებების მიცემის საფუძველზე.

ნოტარიუსის მიუკერძოებლობის საკითხს გერმანიის კანონმდებლობა ანიჭებს, იმპერატიულ ხასიათს და შემდეგნაირად აყალიბებს: " ნოტარიუსი ვალდებულია, არ დაუშვას თუნდაც მსგავსება, ან სიახლოვე ნებისმიერი სახის მიკერძოებასთან",რაც პასუხობს პრიციპს: "iustici musi also be seen to be done".

მიუკერძოებლობა არ უზღუდავს ნოტარიუსის უფლებას, დადგეს რომელიმე მხარის გვერდით. სწორედ მიუკერძოებლობის და ობიექტურობის განცდა მთელ რიგ შემთხვევებში, ნოტარიუსს აყენებს ერთი მხარის მხარდამჭერ პოზიციაში. ეს ხდება მაშინ როცა ერთი მხარე ცდილობს სხვათა შეგნებულად მოტყუების

საფუძველზე დაუმსახურებლად მოიპოვოს გარკვეული უპირატესობები, თუმცა აღნიშნული არ არის ნოტარიუსის ამოცანა, რადგან მხარეები თავად უნდა იყვნენ მოწოდებულნი საკუთარი უფლებებისა და მატერიალური კეთილდღეობის დაცვისათვის. მხარეთა უფლებამოვალეობის შორის წონასწორობის დაცვა მხარეთა ამოცანაა და არ შეიძლება აღქმული იქნას ნოტარიუსის ვალდებულად. რიგ სახელმწიფოებში, ნოტარიუსი თანამდებობაზე დანიშვნის წინ დებს ფიცს, სადაც ძირითად აქცენტს სწორედ დამოუკიდებლობასა და მიუკრძოებლობაზე აკეთებს, საქართველოს კანონმდებლობა ნოტარიუსის თანამდებობაზე დანიშვნის წინ ფიცის დადების ცერემონიალს არ ითვალისწინებს, რაც საკანონმდებლო ინიცირების გზით ვფიქრობ შეტანილი უნდა იქნეს, "ნოტარიატის შესახებ" საქართველოს კანონში, ვინაიდან ფიცის დადება თანამდებობის დაკავების წინ, უფრო მეტად სამართლიანობის, უტყუარობის და მიუკერძოებლობის განცდას შესძენს ნოტარიუსს, თუმცა ამ მიმართებით წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს და სამომავლო სრულყოფას დაემორჩილოს საქართველოს ნოტარიუსთა პროფესიული ეთიკის (დეონტოლოგიის) კოდექსი.

წარმატებული სანოტარო საქმიანობა, პირდაპირ პროპორციულად უკავშირდება მხარეთა პირადი, ოჯახური და ქონებრივი მდგომარეობის გაცნობას. (მაგალითად, ანდერძის დამოწმების თაობაზე გონივრული კონსულტაციის გაცემა გამორიცხულია იმ შემთხვევაში თუ ნოტარიუსისათვის უცნობია მოანდერძე მხარის პირადი ცხოვრებისა და ქონებრივი მდგორეობის დეტალები). ნოტარიუსი ვალდებულია საიდუმლოდ შეინახოს სამსახურეობრივი საქმიანობის შედეგად მიღებული ინფორმაცია. ნოტარიუსის ეფექტური ფუნქციონირების აუცილებელ პირობას წარმოადგენს მისდამი მხარეთა ნდობა იმაში რომ კონსულტაციის შედაგად მიღებულ ინფორმაციას ეს უკანასკნელი არ გადასცემს მესამე პირებს გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კანონის მოთხოვნა ნოტარიუსს პირდაპირ ავალებს ამას.

ნოტარიუსის საიდუმლოს დაცვის მოვალეობისაგან გათავისუფლების უფლებამოსილება გააჩნიათ თვით სანოტარო აქტის მონაწილეებს. კონფედენციალობის ვალდებულება მოცულობითი ხასიათისაა და თავისთავში მოიცავს ყველა იმ გარემოებას, რომელიც ნოტარიუსისათვის ცნობილი გახდა თავისი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში. ეს ვალდებულება ვრცელდება სანოტარო აქტის მონაწილის ვინაობასა და სანოტარო ბიუროში პირის გამოცხადების ფაქტის მიმართაც.

ნოტარიუსს ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა ზიანისათვის, რომელიც გამოიწვია მისმა განზრახმა ან გაუფრთხილებელმა ქმედებამ. მითითებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად, ნოტარიუსი ვალდებულია დადოს ხელშეკრულება სავალდებულო პროფესიულ დაზღვევაზე მუშაობის მთელი პერიოდისთვის. ნოტარიუსის პროფესიული დაზღვევის არსებით პირობებს და სადაზღვევო თანხის მინიმალურ ზღვარს, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წარდგინებით განსაზღვრავს იუსტიციის მინისტრი. საქართველოს ნოტარიუსთა პალატას შეუძლია დადოს დაზღვევის ხელშეკრულება თავისი წევრის მიერ მიყენებული იმ ზიანის ასანაზღაურებლად რომელიც, სრულად ვერ ანაზღაურდა თავად ნოტარიუსის მიერ დადებული ხელშეკრულების ფარგლებში. აღნიშნულით, სახეზეა ნოტარიატის კიდევ ერთი თავისებურება კერძოდ ის რომ, ნოტარიუსი ასრულებს სახელმწიფო უფლებამოსილებას, მაგრამ პირადად აგებს პასუხს მის მიერ მიყენებული ზიანისათვის. გარიგების დამოწმებისას მხარეები ქვეცნობიერად აკეთებენ არჩევანს ნოტარიუსის სასარგებლოდ, შესაძლო განზრახი თუ გაუფრთხილებელი ზიანის შემთხვევაში ნოტარიუსის მხრიდან ქონებრივი ანაზღაურების შესაძლებლობის არსებობის გამო. ეს მომეტებული პასუხისმგებლობა თავის მხრივ ასახვას პოულობს ნოტარიუსის მიერ შესასრულებელი სამუშაოს მიმართ განსაკუთრებული გულისყურით მიდგომაში და ამასთან ამაღლებს ნოტარიუსის მიმართ გარიგების მონაწილეთა ნდობის ხარისხს. ნდობის ეს მაღალი ხარისხი არ შეიძლება ჩამოყალიბდეს სახელმწიფო-საჯარო მოხელის მიმართ, რომლის მაგივრადაც პასუხისმგებლობა სახელმწიფოს აკისრია.

ნოტარიუსს ეკისრება ქონებრივი პასუხისმგებლობა ზიანისათვის, რომელიც გამოიწვია ნოტარიუსის შემცვლელი პირის უკანონო სამსახურეობრივმა ქმედებამ. ნოტარიუსს აქვს ნოტარიუსის შემცვლელი პირისაგან უკუთმოხოვნის უფლება გადახდილი კომპენსაციის ოდენობით.

ასეთია, ნოტარიატის ინსტიტუტის ძირითადი სამართლებრივი რეგლამენტაციის ძირითადი საკითხები საქართველოში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვ. დიომი, საკუთრება უძველეს წინაკლასობრივრომაულ სამართალში, თარგმანი და წინასიტყვაობა ს. ოგინავასი, კრებული სამართლის ისტორიის საკითხები, ტომი 5, თბილისი., 1985 წელი.

2. ბ. სეხნიანიძე, ნარკვევები ნოტარიატის ისტორიიდან, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის სამეცნიერო- პრაქტიკული ჟურნალი, თბილისი, გამომცემლობა "ჯისიაი", 2004 წელი.

3. „ნოტარიატის შესახებ" საქარტველოს კანონის 41-ე მუხლი. 2009 წლის 4 დეკემბერი

4. Das modern Notariat – Struktur aufgaben -1. Heraugeber: Bundesnotarkammer (K.d.o.R.) – Deutche Notarzeitschrift Koln Stand: Mai 1993 ohne Gewahr – Anderunged der Rechtsentwicklung vorbehlten, 167-190.

5. Peter Bose, Das Handelsrgister 2000.

6. Hanns-Jakob Putzer, das Notariat im Zivilrechtssystem სტატიაში, განხილულია ნოტარიატის საქმიანობის განხორციელების ძირითადი მიმართულებებიდა ნოტარიტია ინსტიტუტის ურთიერთკავშირი სამართლის დარგებთან.

7. Karl. H Haug. Grundscuge aines ferzixerong ssistems fur notare 2007

8. Wolfgang Ott, Aufgaben des Notars im FAmilien und Erbrecht 2008

9. Bernhard HillelDarja Eisenreich, Der Ubergang vom staatlichen Notariat der DDR zum freien Notariat 2005

10. В. Аргунова, Е. Суханов, Правовые основы нотариальной деятельности, ИЗД БЕК, Москва 1994, ст 43-57.

11. В.В. Комаров, В.В. Баранкова Нотариат и Нотариальный Процесс, Харьков, 2000.

12. Т.И. Зайцева, П.В. Крашенинников, Наследственное Право, изд М,,статут,, 2002, Комментарий законодательства, ст 207-233.

REVIEW OF A LEGAL REGULATION OF NOTARIAL INSTITUTE

TINATIN DEVDARIANI - PhD student of GTU
niniko001@mail.ru

Summary

The Constitution of Georgia defines the concept of development of a law-based state; the mechanism of legal regulation of public relations is established within the scopes of such state, which, in its turn, increases the legal role of numerous traditional institutions, including notary, in the process of development of the civil society.

Through lawful and timely implementation of notarial activities the notarial system certifies and awards public authenticity to the civil-legal relations. In case of the relations envisaged by the civil legislation the notarial activities are expressed in the form of the facts with legal significance of the civil law in the process of property legal relations; besides, the notarial system as a legal institution is less studied; it should be emphasized that the notarial system supported and made the role of a contemporary notariate institution more important as well as it focused the necessity of technical modernization of the system.

Yet the history of development and establishment of a notarial system in its capacity of a legal institution does not represent the subject of interest of a wide circle of legal scholars; number of legal issues still stays vague and disputable; the mentioned stipulates the urgency of improvement a notarial system.